



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 46

19 05 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის
N03/5398 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის სხდომის N9 ოქმის მესამე საკითხის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის N03/5398 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარწყავი სატუმბი სისტემები, დანართი N1-ს შესაბამისად, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი